

გაკვეთილის რეფლექსია

2018 წლის----- ლენტეხის N 1 საჯარო სკოლის დირექტორს და შიდა შეფასების ჯგუფს მივმართე განცხადებით, რომ მსურდა განეხორციელებინათ პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობის-გაკვეთილზე დაკვირვების წარმოება, მიმდინარე წლის -----შიდა შეფასების ჯგუფმა განახორციელა შიდა დაკვირვება მე-5 კლასში მათემატიკის გაკვეთილზე, რომელსაც ესწრებოდა სკოლის დირექტორი, სასწავლო ნაწილის გამგე, სკოლის შეფასების ჯგუფის ფასილიტატორი და შიდა შეფასების ჯგუფის წევრი მათემატიკის კათედრიდან.

გაკვეთილის თემა იყო „მარტივი და შედგენილი რიცხვები“.

გაკვეთილს ესწრებოდა 15 მოსწავლე, გაკვეთილი დავიწყე მიზნის გაცნობით, რომელიც დაფაზე იყო გამოკრული.

გაკვეთილის მიზანი იყო:

- მიზანი მკაფიოდა არის ფორმულირებული და შეესაბამებოდა ესგ-თი განსაზღვრულ შედეგებს. ესგ შედეგი და ინდიკატორი:

მათ V.1. მოსწავლეს შეუძლია ახალი რიცხვითი სახელების და პოზიციური სისტემის გამოყენება და ნატურალური რიცხვების კლასიფიცირება.

შედეგი თვალსაჩინოა, როცა მოსწავლე:

- პოულობს მოცემული ერთნიშნა და ორნიშნა რიცხვების ჯერადებს და გამყოფებს
- განასხვავებს კენტ და ლუწ, მარტივ და შედგენილ რიცხვებს ასაბუთებს 2-ზე, 3-ზე, 5-ზე, 9-ზე და 10-ზე გაყოფადობის ნიშნებს. მე გაკვეთილს წარვმართავდი გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მიხედვით, გადახვევა-მოდინიცირება არ დამჭირვებია. გაკვეთილის პირველი აქტივობა იყო კლასის ორგანიზება და დასწრების შემოწმება. მეორე აქტივობა იყო საშინაო დავალების შემოწმება.

საშინაო დავალების მიზანი: რიცხვების გამყოფებისა და ჯერადების პოვნის უნარ-ჩვევისა და კვლევის უნარის განვითარება.

1) იპოვეთ მოცემული რიცხვების გამყოფები: 28, 20, 13, 12, 10, 50, 60, 8, 6, 7, 5, 1, 19, 25, 100.

2) N1 ამოცანაში მიღებული შედეგების საფუძველზე შეავსე ცხრილი:

სრულყოფილი რიცხვები	ჟარბი რიცხვები	ნაკლული რიცხვები

3)1-დან 60-მდე რიცხვები განლაგეთ ცხრილის სათანადო სტრიქონებში:

2-ის ჯერადები	
3-ის ჯერადები	
5-ის ჯერადები	
7-ის ჯერადები	
11-ის ჯერადები	
13-ის ჯერადები	

მესამე აქტივობის მიზანი „მოსწავლემ შეძლოს წინარე ცოდნის გააქტიურება-რიცხვის გამყოფებისა და ჯერადების ტერმინებისა და ცნებების თავიდან გააზრება,გამოსაძახებელი ჩხირებითა და ფრონტალური შეკითხვებით მოსწავლეებმა შეავსეს ცხრილი:

რიცხვი	გამყოფები	გამყოფების რაოდენობა
28	1,2,4,7,14,28	6
20	1,2,4,5,10,20	6
13	1,13	2
12	1,2,3,4,6,12	6
10	1,2,5,10	4
50	1,2,5,10,25,50	6
60	1,2,3,4,5,6,12,15,20,30,60	11
8	1,2,4,8	4
6	1,2,3,6	4
7	1,7	2
5	1,5	2
1	1	1
19	1,19	2
25	1,5,25	3
100	1,2,4,5,10,20,25,50,100	9

კლასის ორგანიზების ფორმა იყო საერთო საკლასო, შეფასება განმავითარებელი :შექება და თითების კომბინაცია, ამ აქტივობის დროს გამოსაძახებელი ჩხირებით გამოძახების დროს მოხდა ისე რომ რამდენიმე მოსწავლე გამოვიძახე ორჯერ და ორი მოსწავლე დამრჩა ამ აქტივობაში ჩაურთველი(შემდეგში გავითვალისწინებ გამოსაძახებელი ჩხირების უფრო ეფექტურ გამოყენებას).

შემდეგი აქტივობა -მიზანი:მოსწავლემ შეძლოს რიცხვების დაჯგუფება გამყოფების რაოდენობების მიხედვით.ამ აქტივობის ფარგლებში მოსწავლეებმა შეძლეს ცხრილის შევსება;

1 გამყოფი	2 გამყოფი	2-ზე მეტი გამყოფი
1	13,7,5,19	28,20,12,10,50,60,8,6,25,100

შეფასება სიტყვიერი კომენტარი, აქტივობების დავალებები არ იყო რთული და მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი.

შემდეგი აქტივობის, „აზრების წრე“, მიზანი -მარტივი და შედგენილი რიცხვების ცნებებისა და ტერმინების გააზრების უნარის განვითარება. მოსწავლეებს ავუხსენი ახალი ცნებების მარტივი და შედგენილი რიცხვების განმარტებები და წაავიკითხეთ სასკოლო სახელმძღვანელოში გვერდი 56, პარაგრაფი 23, ცხრილის მიხედვით გავარჩიეთ რომელი რიცხვია მარტივი, რომელი შედგენილი, რომელი არც მარტივია და არც შედგენილი,

მოსწავლეებმა დავალებას კარგად გაართვეს თავი, ახსნილი მასალის გაგება გააზრების დონის შესამოწმებლად გამოვიყენე მეთოდი „ოთხი კუთხე“, მოსწავლეებს ვთხოვე დამდგარიყვნენ კუთხეებში იმ მინიშნებებთან, რომელიც მათი გაგების დონეს განსაზღვრავდა, ყველა მოსწავლე დადგა კუთხეში

გაკვეთილის მიზანში აღნიშნული მქონდა რიცხვების შესახებ, გამოყენების, დასაბუთების, კვლევის უნარის განვითარება და მიწოდებული განმარტებების მიხედვით გამყოფების ოდენობების მიხედვით უნდა შეევსოთ ცხრილი ჭარბ, ნაკლებ და სრულყოფილ რიცხვებზე, დაემატა ახალი ტერმინები მარტივი და შედგენილი რიცხვები და აქტივობაში, „რიცხვების კლასიფიკაცია“ მოვახდინეთ ასოციაციური რუკის შედგენა:

მოსწავლეებმა დავალებას კარგად გაართვეს თავი და დაიმსახურეს შექება.

შემდეგი აქტივობა იყო „ერასტოსთენეს ცხავი“, მიზანი; მარტივ რიცხვთა ცხრილის შედგენა, რომელიც მათ სჭირდებათ, შემდეგი მასალის ასათვისებლად თემაზე „რიცხვის დაშლა მარტივ მამრავლებად“. კლასის ორგანიზების ფორმა ჯგუფური, მეთოდი თანამშრომლობითი, უხმაუროდ მოვახდინეთ მერხების ჯგუფებად მოწყობა, შემდეგ წინასწარ გამზადებული ბარათებით მოხდა ჯგუფებში მოსწავლეთა განაწილება, ვის რა ფერის ბარათი შეხვდა ის დაჟდა იმავე ფერის ბეიჯიან მაგიდაზე, აქ მოსწავლეებში გამოიწვია ცოტა ხმაური, სიხარულის ემოციების გამოხატვა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ჯგუფებში გადანაწილების შემდეგ ყველამ ერთად წავითხეთ ჯგუფური მუშაობის 10 ოქროს წესი, რომელიც გამოკრული გვაქვს კლასში,

ჯგუფებმა ფერად სტიკერებზე შეიმუშავეს ორ-ორი წესი, რომელიც აუცილებლად უნდა დაიცვან, წესების შემუშავების შემდეგ გავაცანი დავალების შესრულების ინსტრუქცია, მივაწოდე ერასტოსთენეს მეთოდის შესახებ ინფორმაცია, დაურიგდათ დავალებები. სადაც ერასტოსთენეს მეთოდით უნდა გაეცხრილათ 1-დან 50- მდე ნატურალური რიცხვებიდან შედგენილი რიცხვები და შეედგენათ მარტივ რიცხვთა ცხრილი, დავალებები იყო შემდეგი: 1 ჯგუფს უნდა ამოეწერათ 1-დან 50- მდე რიცხვები და გადაეხაზა 2-ის ჯერადები, მეორე ჯგუფს სამის ჯერადები, მესამე ჯგუფს 5-ის ჯერადები, მეოთხე ჯგუფს 7-ის ჯერადები, ჯგუფებმა დავალება სწორად შეასრულეს და გააკეთეს პრეზენტაციები, შემდეგ ყველამ ერთად გადავხაზეთ წინასწარ გამზადებულ ცხრილში 11, 13, 17, 19-ს ჯერადები

ამოვწერეთ მარტივი რიცხვები, შემდეგ მათ მივეცი გამნარტებები ტყუპი და ტყუპი სამეული რიცხვების შესახებ და ამოვწერეთ ასოციაციურ რუკაზე ეს რიცხვებიც. მოსწავლეებმა ჯუფურ მუშაობას თავი კარგად გაართვეს, ჩართული იყო ყველა, ბოლოს მათ შეავსეს ჯგუფური მუშაობის და თვითშეფასების რუბრიკა, „ტორტის მორთვა“,

მე კი მსვლელობისას შევავესე ჯგუფურ მუშაობაზე დაკვირვების ფურცელი, გაკვეთილის დასრულებისას გავაკეთე თემის შეჯამება, გამოვიყენე მეთოდი „სინქვინი“.

გაკვეთილის დასრულებისას მოსწავლეებს მივეცი საშინაო დავალება იგივე მეთოდით ეპოვათ 50- დან 100 მდე მარტივი რიცხვები,და მოეძიებინათ საინტერესო ინფორმაციები მარტივ რიცხვებზე,გაკვეთილმა კარგად და საინტერესოდ ჩაიარა ,რაც შეეხება შეფასებას,მიუხედავად იმისა რომ გამოკრული მქონდა შეფასების ანალიტიკური რუბრიკა ვერ მოვასწარი მოსწავლეთა განმსაზღვრელი შეფასება, და მოსწავლეთა დაკვირვების ფორმაც შევავსე დამახსოვრებული ინფორმაციის საფუძველზე გაკვეთილის დამთავრების შემდეგ.გაკვეთილის მსვლელობისას შემოვიფარგლე მხოლოდ განმავითარებელი შეფასებით.

რაც შეეხება სასწავლო რესურსებს,იყო მრავალფეროვანი,გამზადებული ცხრილების შაბლონები,ჯგუფური დავალების მასალა,მოსწავლეებმაც შექმნეს რესურსი ,რომელიც გამოადგებათ შემდეგი გაკვეთილების დროს,,მარტივ რიცხვთა ცხრილი“.ყოველივე ამან უზრუნველყო მოსწავლეთა საკმაოდ მაღალი დაინტერესება და შედეგების მიღწევაც.

გაკვეთილმა საინტერესოდ ჩაიარა, გაკვეთილის მსვლელობით კმაყოფილი ვარ,ერთ მხრივ მოსწავლეებმა გაამართლეს,მეორე მხრივ დაგეგმილმა აქტივობებმაც სათანადოდ იმუშავა,იყო მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა ,აქტივობებიც იყო საინტერესო მოსწავლეებისათვის,საგაკვეთილო გარემო მერხების განლაგება,განათება,ტემპერატურა,სწავლების მეთოდები,გაკვეთილის ფაზების დაცვა სწორად იყო გამოყენებული,კომუნიკაცია ენა,ხმა,ჟესტიკულაცია,უკუკავშირი,კითხვა-პასუხი,მასალის ახსნა და შედეგების შეჯამებაც სწორად იყო გამოყენებული.მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა,ურთიერთგაგება,დისციპლინა იყო დაცული,მოტივაცია,წარმატების განცდა,სწავლებიდან მიღებული სიამოვნება შექება ყველამ დაიმსახურა,მივალწიეთ თუ არა მიზანს? მე შევასრულე გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა,მიზანი დავძლიეთ,შეფასების კუთხით გავაუმჯობესებ მუშაობას.მოცემულ რეკომენდაციებს გავითვალისწინებ და ყოველივე ეს სრულფასოვნებას შესძენს ჩემს მიერ შემდგომში ჩატარებულ გაკვეთილს.